2014 წლის ტურისტული სტატისტიკა აჭარაში

მომზადებულია აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ, 2015 წელი.

GOBATUMI.COM

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნა 2
ტურისტების რაოდენობა რეგისტრირებულ სექტორში 3
საზღვარი 6
ადგილთა რაოდენობა 6
ერუიზი 6
აჭარის ტურისტული საინფორმაციო ცენტრები 6

შემაჯამებელი დასკვნა

ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებით, რეგიონის ტერიტორიაზე ტურისტთა განთავსების ობიექტების მიხედვით აჭარას 2014 წლის იანვარ-დეკემბერში 9.67%-ით მეტი ტურისტი სტუმრობდა 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

სასტუმრო სექტორში ტურისტთა რაოდენობრივი მაჩვენებლებით პირველი ათეული შემდეგ ქვეყნებზე ნაწილდება: თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, პოლონეთი, ისრაელი, ბელორუსია, ყაზახეთი, ლიტვა.

2014 წელს უცხოელ ტურისტთა შორის ზრდის პროცენტული მაჩვენელით გამოირჩევა ყაზახეთი (106,5%), ბელორუსია (53,2%), სომხეთი (36,7%), აზერბაიჯანი (29,7%), პოლონეთი (29,1%), რუსეთი (21,9%), უკრაინა (12,9%) და ისრაელი (8,2%). ამ ჯგუფში შედის სწორედ ის ქვეყნები, რომლების სამიზნე ტურისტულ ბაზრებს მიეკუთვნება და სადაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აწარმოებს აქტიურ მარკეტინგულ და სარეკლამო ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში შემოსულ დამსვენებელთა დიდი ნაწილი კერძო სექტორშია განთავსებული, რომელთა აღრიცხვა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ პრობლემის გადასაჭრელად, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკის ახალ მეთოდოლოგიაზე, რომელიც სხვადასხვა კველევებს დაეფუძნება და რეგიონში ტურისტთა რაოდენობის რეალურ სურათს შექმნის.

დადებითი ტენდენცია ნარჩუნდება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში შემოსული უცხოელი ტურისტების რიცხობრივ მაჩვენებელში. 2014 წლის მანძილზე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში შემოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა 19%-ით აღემატება 2013 წლის, ხოლო 44%-ით 2012 წლის მონაცემებს.

უპრეცედენტოა საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკური მონაცემები: 2014 წელს 33 საკრუიზო გემით 14 793 ტურისტი შემოვიდა ბათუმში, რაც 186,5%-ით აღემატება 2013 წელს საკრუიზო გემებით შემოსული ტურისტების რაოდენობას (16 გემი, 5162 ტურისტი 2013 წელს).

69,8%-ითაა გაზრდილი აჭარის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მომსახურებით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა.

ტურისტების რაოდენობა რეგისტრირებულ სექტორში

2014 წლის, აჭარის ტერიტორიაზე არსებული სასტუმროების მონაცემების მიხედვით სასტუმროს მომსახურეობით 431678 ადამიანმა ისარგებლა, რაც წინა წლის იანვარ-დეკემბერთან შედარებით 9,67 %-ითაა გაზრდილი.

დიაგრამა 1.



2014 წლის მონაცემებით, აჭარის სასტუმროებში დატვირთულობის კოეფიციენტმა 43.49% შეადგინა,მაშინ როდესაც 2013 წლის მონაცემებით დატვირთულობა 39.37% იყო. რაც 10.47% -ითაა გაზრდილი.

აჭარაში 2014 წელს ჩამოსულ უცხოელი ტურისტთა რაოდენობა 261075 შეადგინა, 2013 წელს კი - 245166, რაც ამავე პერიოდთან შედარებით 6.49%-ით მეტია.

დიაგრამა 2.



აჭარის ტერიტორიაზე არსებულ განთავსების საშუალებებში სტუმართა რაოდენობის მიხედვით ყველაზე დატვირთული იყო ივლისის თვე, როდესაც დატვირთვის კოეფიციენტმა 89,76% შეადგინა.

დიაგრამა 3.



2014 წელს აჭარის სასტუმროებში განთავსებული ტურისტები ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

დიაგრამა 4.



სტატისტიკა მუნისიპალიტეტების მიხედვით:

ცხრილი 1.

	შიდა	უცხოელი	სულ
ბათუმი	97822	185118	282940
ქობულეთი	51721	49656	101377
ხელვაჩაური	21060	26301	47361
შუახევი	0	0	0
ხულო	0	0	0
სულ	170603	261075	431678

დიაგრამა 5.



2014 წელს ბათუმს ესტუმრა შიდა - 97822, უცხოელი - 185118, სულ - 282940.

ქობულეთი: შიდა - 51721, უცხოელი - 49656, სულ - 101377.

ხელვაჩაური: შიდა - 21060, უცხოელი - 26301, სულ - 47361.

სულ აჭარაში ჩამოვიდა: შიდა - 170603, უცხოელი - 261075, სულ - 431678.

საზღვარი

საზღვრის მონაცემების მიხედვით აჭარაში 2014 წლის განმავლობაში საზღვარი გადმოკვეთა 1557071 უცხოელმა.

ადგილთა რაოდენობა

აჭარაში 2014 წლისათვის სასტუმრო სექტორში ადგილთა რაოდენობა 13715 შეადგინა რაც, გასულ წელთან შედარებით 2760 ადგილით გაიზარდა.

კრუიზი

ბათუმის ნავსადგურში 2014 წელს 33 საკრუიზო გემით 14793 ტურისტი ჩამოვიდა. გასულ წელს კი 16 საკრუიზო გემი და 5162 ტურისტი.

დიაგრამა 6.



აჭარის ტურისტული საინფორმაციო ცენტრები

2014 წელს 2013 წელთან შედარებით 69,8%-ითაა გაზრდილი აჭარის საინფორმაციო ცენტრების მომსახურებით მოსარგებლე ტურისტების

რაოდენობა, მაშინ როცა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით 20,1%-იანი ზრდა ფიქსირდებოდა.

დიაგრამა 7.